

პედაგოგიური პრაქტიკის კვლევის ანგარიში
როგორ ავუმაღლო კითხვის უნარ-ჩვევები V კლასის მოსწავლეებს

ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის განძის რუსთაველის სახელობის # 2 საჯარო სკოლა

ქართული, როგორც მეორე ენის პედაგოგი: ნანული მიხანაშვილი

2018-2019 სასწავლო წელი

სარჩევი

1.შესავალი.....	2
1.1.კვლევის მიზანი.....	3
1.2.ენის ფლობის ევროპულ ჩარჩოსთან შესაბამისობა.....	3
1.3.ეგს-თან შესაბამისობა.....	3
1.4.კვლევის აქტუალობა.....	4
1.5.საკვლევი კითხვები.....	5
1.6.კვლევის ამოცანები.....	6
2. ლიტერატურის მიმოხილვა.....	6
3. გამოყენებული მეთოდის აღწერა.....	8
4. მონაცემთა ანალიზი.....	9
5. ინტერვენციები.....	10
6. ინტერვენციების შედეგების შეფასება.....	11
7. დასკვნა,მიგნებები და განზოგადებები.....	14
8. რეკომენდაციები	14
9. კვლევის შედეგების პრეზენტაცია(რეფლექსია).....	15
10.ბიბლიოგრაფია.....	16
11.დანართები.....	

შესავალი

ჩემი ნაშრომი წარმოადგენს ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის სოფელ განძის რუსთაველის სახელობის # 2 საჯარო სკოლის V კლასში განხორციელებული კვლევის ანგარიშს. სკოლა, სადაც მე ვმუშაობ, სომხურენოვანია. ქართული ენა ისწავლება, როგორც მეორე ენა. სოფელში 3000 კაცი ცხოვრობს, არც ერთი არ არის ქართველი. აქედან გამომდინარე, მოსწავლეებს მხოლოდ გაკვეთილზე უხდებათ ქართული ენის შესწავლა, რაც თავისებურ სიძნელეებს ქმნის, განსაკუთრებით, სწავლების დაწყებით საფეხურზე. ახალ კლასში პირველი შესვლისთანავე გასაკუთრებულ ყურადღებას ვამახვილებ კითხვის უნარ-ჩვევების განვითარებაზე. V კლასში შესვლისას აღმოჩნდა, რომ არც ერთი მოსწავლე არ აკმაყოფილებდა ესგ-ით გათვალისწინებულ მოთხოვნებს ენის არც ერთ კომპეტენციაში. ვერ საუბრობდნენ, ვერ კითხულობდნენ კარგად, ეშლებოდათ ასოები, აქედან გამომდინარე, უჭირდათ არა მარტო გამომეტყველებით კითხვა, არამედ წაკითხულის გაგება-გააზრება. გადავწყვიტე, ჩამეტარებინა კვლევა და გამეგო, რა იყო მიზეზი კითხვის უნარ-ჩვევების დაბალი დონისა V კლასში. შესაბამისად განვსაზღვრე კვლევის მიზანი. კვლევის დასაწყისში გაჩნდა გარკვეული ჰიპოტეზები, რომლებიც დადასტურდა კვლევის მიმდინარეობის პროცესში და მისი დასრულების შემდგომ. კერძოდ, მოსწავლეთა და მშობელთა მოტივაციის დაბალი დონე, მშობელთა უყურადღებობა სახლში ბავშვის მიმართ, ქართული ენის არცოდნა, არაინფორმირებულობა შვილის ცოდნის დონის, მოსწავლეთა ცოდნის შეუფასებლობა ნიშნით. კვლევა არ შეიცავდა არანაირ რისკს. მშობლები ინფორმირებული იყვნენ კვლევის მიზნებისა და ჩემი საქმიანობის შესახებ, რომ კვლევის ფარგლებში მოპოვებული მათი პირადი მონაცემები (მოსწავლის თუ მშობლის) იქნებოდა მხოლოდ ზოგადად გაანალიზებული.

კვლევის მიზანი:

1. V კლასში არსებული კითხვის პრობლემების მიზეზებისა და ამ პრობლემების გადაჭრის ოპტიმალური გზების დადგენა.
2. კითხვის უნარ-ჩვევების განვითარება
3. გაწაფული კითხვის კომპენტეციის გაუმჯობესება
4. ლექსიკაზე მუშაობა
5. ტექსტის მახასიათებლების ცოდნა
6. წაკითხულის გაგება-გააზრება
7. ინოვაციური მეთოდის დანერგვა სასწავლო პროცესში

ენის ფლობის ევროპულ ჩარჩოსთან შესაბამისობა:

A1(კითხვა)-შემსწავლელს შეუძლია მარტივი ტექსტის მთავარი არსის გაგება განსაკუთრები მაშინ, თუ მას დართული აქვს ილუსტრაციები, შეუძლია წაკითხულის მიმართ საკუთარი შეფასება-დამოკიდებულების გამოხატვა.

ესგ-სთან შესაბამისობა:

მიმართულება კომუნიკაცია: კითხვა და კითხვის სტრატეგიები	
სტანდარტის შედეგი	V კლასის(დონის) შეფასების ინდიკატორები
ქ.მ.V.11. მოსწავლე იძენს ხმამაღალი კითხვის საწყის უნარ-ჩვევას	*მოსწავლე ხმამაღლა, გამართულად და გამომეტყველებით უკითხავს თანაკლასელებს სასურველ, შერჩეულ ნაწყვეტს ნაცნობი ტექსტიდან. *ცდილობს, დაიცვას შესაბამისი ინტონაცია სხვადასხვა მოდალობის წინადადების წაკითხვის დროს.

<p>ქ.მ.V.12. მოსწავლე იყენებს კითხვის სტრატეგიებს.</p>	<p>*განასხვავებს მხატვრულ და არამხატვრულ ტექსტებს სათაურისა და ილუსტრაციებზე დაყრდნობით,გამოთქვამს საკუთარ აზრს,წაკითხულის შესახებ. მონაწილეობს დიალოგისა და სკეტიჩის გუნდურ კითხვაში.</p>
--------------------------------------------------------	--------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------

კვლევის აქტუალობა

ნებისმიერი ენის სწავლებისას განსაკუთრებული ყურადღება ექცევა კითხვის უნარ-ჩვევების განვითარებას-კითხვის ტექნიკის დაუფლებას,წაკითხულის გაგება-გააზრებას. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში,არაქართულენოვან სკოლებში და განსაკუთრებით დაწყებით კლასებში.ამ უნარ-ჩვევის განვითარება რთულია.თუ ვერ შევძელით,მოსწავლეები დაწყებით კლასებში დაეუფლონ გამართულ, გააზრებულ, შეგნებულ კითხვას,მაღალ კლასებში ამის მიღწევა ხშირად შეუძლებელი ხდება.ეს კი საბოლოოდ ხელს უშლის ქართულ მოსახლეობასთან მათ ინტეგრაციას. გასათვალისწინებელია ისიც,რომ გააზრებული კითხვა ხელს უწყობს ენის სხვა კომპეტენციების უნარ-ჩვევების განვითარებასაც.

მოზარდის,როგორც მოქალაქის ჩამოყალიბების პროცესში 9-10 წელი მნიშვნელოვანი ასაკია.ამ დროს კითხვის უნარი,რომელიც ერთ-ერთი საბაზო უნარია,უკვე ჩამოყალიბებული უნდა იყოს,რადგან ეს განსაზღვრავს,რამდენად წარმატებით შეძლებს მოსწავლე მაღალი კლასების სასწავლო პროგრამის დაძლევას.დაწყებით კლასებში შეგნებული,გააზრებული კითხვის სწავლებას დიდი მნიშვნელობა აქვს მოსწავლის შემდგომი განვითარებისთვის,იგი დაეხმარება მას სხვადასხვა დისციპლინების გაგება-აღქმა-გააზრებაში.

ნებისმიერი ტიპის(მშობლიურის,არამშობლიურის) ტექსტის კითხვისას მოსწავლე მსგავსი ამოცანის წინაშე დგება.მან უნდა დაადგინოს,რა სტრუქტურისაა ტექსტი,რა შინაარსის შემცველია,რა ტიპის სტრატეგიები უნდა გამოიყენოს მის გასააზრებლად და სხვა.

ყველა მკვლევარი თანხმდება,რომ ადრეულ ასაკში წიგნიერების განვითარების ძირითადი ასპექტი არის წიგნიერი გარემო,რასაც მოკლებულები არიან არაქართულენოვანი სკოლის,კერძოდ,ჩვენი სკოლის მოსწავლეები (ოჯახში არა აქვთ ქართული წიგნები,ძალიან ცოტა-სომხური)

ჩემ მიერ შერჩეული საკითხის აქტუალობა განაპირობა მოსწავლეთა წიგნიერების საერთაშორისო PIRLS-ის შედეგებმაც.პრობლემა წამოვჭერი ქართული ენის კათედრაზე,მაინტერესებდა ეს პრობლემა მარტო V კლასში იყო, თუ მათთანაც. ჩავატარე მცირე გამოკითხვა.კოლეგებმა გამოთქვეს,ჩამოაყალიბეს საკუთარი მოსაზრებები.

სასწავლო პროცესზე დაკვირვებამ და არსებულმა გამოცდილებამ მომცა ბიძგი,განმესაზღვრა საკვლევი თემა,დამესვა მთავარი კითხვა:რა არის დაწყებით საფეხურზე,კერძოდ,V კლასში კითხვის უნარ-ჩვევების დაბალი დონე და როგორ შეიძლება მისი გამოსწორება? რა არის საჭირო იმისთვის,რომ მოსწავლეები კარგად დაეუფლონ კითხვის უნარ-ჩვევებს,გააზრებულ კითხვას,რაც მათ მთელი ცხოვრება გამოადგებათ.

საკვლევი კითხვები

კვლევის მთავარი კითხვა:რა არის მიზეზი დაწყებით საფეხურზე,კერძოდ V კლასში, კითხვის უნარ-ჩვევის დაბალი დონის? როგორ გადავჭრა ეს პრობლემა, როგორ დავეხმარო მოსწავლეებს,რომ ეს პრობლემა მოგვარდეს?

- ✓ რა დროს უთმობს მოსწავლე ქართულში მეცადინეობას, რამდენჯერ კითხულობს სახლში?- ამის ცოდნა დამეხმარება, დავგეგმო შესაბამისი აქტივობები.
- ✓ ეხმარება თუ არა მშობელი შვილს სახლში ქართულ ენაში მეცადინეობისას?- მშობლის კონტროლი და დახმარება(განსაკუთრებით დაწყებით

კლასებში)ხელს უწყობს მოსწავლის წარმატებას.თუ მშობელი ეხმარება და შედეგი მაინც არ არის,ეს ნაკლი მასწავლებელმა უნდა გამოასწოროს.თუ მშობელი არ ან ვერ ეხმარება,ეს უნდა იცოდეს მასწავლებელმა,რომ შესაბამისად იმუშაოს მოსწავლესთან.კვლევისას ამის ცოდნა ხელს შემიწყობს ინტერვეციების დაგეგმვაში.ჩემი აზრით, სკოლი დაწყებით საფეხურზე სახლში ჭირდებათ მშობლის ყურადღება.

- ✓ ამ მხრივ რა მდგომარეობაა დაწყებითი საფეხურის სხვა კლასებში?-თუ სხვა კლასებში უკეთესი მდგომარეობაა,გავეცნობი ჩემი კოლეგების მუშაობის სტილს და მუშაობაში,კვლევის დროს გამოვიყენებ.
- ✓ უზიარებენ თუ არა პედაგოგები ერთმანეთს საკუთარ გამოცდილებას კითხვის პროცესში წამოჭრილი სირთულეებისა და მათი გადაჭრის გზების შესახებ?-მასწავლებლების ურთიერთთანამშრომლობის ცოდნა დამეხმარება კვლევაში.

კვლევის ამოცანები

გავიგო,რა იწვევს მოსწავლეთა კითხვის უნარ-ჩვევების დაბალ დონეს, რა არის საჭირო იმისთვის,რომ ისინი კარგად დაეუფლონ კითხვის უნარ-ჩვევებს.

- ✓ დაკვირვება თითოეული მოსწავლის კითხვის უნარ-ჩვევებსა დაპრობლემებზე.
- ✓ დაკვირვება სწავლასა და კითხვისადმი მათ დამოკიდებულებაზე
- ✓ ფოკუს ჯგუფის შექმნა და პრობლემის გადაჭრის გზების მიგნება
- ✓ მოსწავლეების,მშობლების,კლასის ყოფილი ქართული ენის მასწავლებლის, ჩემი კოლეგების გამოკითხვა
- ✓ მონაცემთა ანალიზი
- ✓ ინტერვენციების პოვნა
- ✓ კვლევის შედეგებისა და დასკვნების პრეზენტაცია

ლიტერატურის მიმოხილვა

კვლევის დაწყებამდე დავიწყე საკვლევ თემაზე არსებული ლიტერატურისა და გავლილი ტრენინგების მასალების შესწავლა და ანალიზი.არასოდეს

ყოფილა ისეთი უხვი, მრავალფეროვანი და ხელმისაწვდომი მასწავლებლებისთვის მეთოდური ლიტერატურა და რესურსები, როგორც დღეს. მთავარი კი, ალბათ, ის არის, როდის, როგორ და რისთვის გამოვიყენებთ მას. მასწავლებელს ეძლევა შესაძლებლობა, დააკვირდეს საკუთარ პრაქტიკას, გამოკვეთოს პრობლემები, მოიძიოს მისი გადაჭრის გზები და საკუთარი შეხედულებისამებრ დაგეგმოს სასწავლო პროცესი. ეს პროცესი კი თანხვედრაში უნდა იყოს საგანმანათლებლო სისტემაში არსებულ კონცეპტუალურ დოკუმენტებთან (ესგ, მასწავლებლის ეთიკის კოდექსი და მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი).

კითხვის სწავლა, წაკითხულის გაგება-გააზრება რთული პროცესია, რომელიც თანამიმდევრული აქტივობებით უნდა ხორციელდებოდეს. კითხვის უნარ-ჩვევების დანერგვას ყურადღება უნდა მიექცეს დაწყებითი კლასებიდან. სტატიაში - „დაწყებითი, ემერჯენტული წიგნიერება-კითხვის ეფექტური მეთოდები“ (მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი, 2013 წ.) - ვკითხულობთ: „გაწაფული, გააზრებული კითხვის ეფექტურობა დამოკიდებულია მოსწავლის ასაკზე. კითხვას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს დაწყებითი საფეხურის ასაკში.“ დიახ, ყურადღება უნდა მიექცეს საანბანო პერიოდიდან, როცა მოსწავლეები სწავლობენ სიტყვებს და 2-3 სიტყვიან წინადადებების კითხვას. ყველა ასო ზუსტად და მკაფიოდ უნდა წარმოითქვას. სწავლა დამოკიდებულია კარგ კითხვაზე, რადგან თუ კი სიტყვა ზუსტად არ არის ამოკითხული, ტექსტის გაგება შეუძლებელია. უნდა შევძლოთ, მოსწავლემ ტექსტი წაიკითხოს გარკვევით, ხმამაღლა, სასვენი ნიშნებისა და ინტონაციის დაცვით. ამის მაგალითი მასწავლებელმა უნდა მისცეს. პირველ ეტაპზე სიტყვების ამოკითხვაზე უნდა ვავარჯიშოთ. სიტყვა უნდა დავშალოთ მარცვლებად, განსაკუთრებით მრავალმარცვლიანი სიტყვები, მარცვლებისაგან შევადგინოთ სიტყვები, სიტყვებისაგან წინადადებები. ხშირად უნდა ვაკითხოთ ძნელად წარმოსათქმელი სიტყვები. ზოგჯერ მოსწავლეს არ ესმის, რას კითხულობს, მაგრამ გამართული კითხვის უნარის გამომუშავება წინაპირობაა ტექსტის კარგად გაგების. კარგად კითხვის სწავლების საბოლოო მიზანი გააზრებული კითხვის უნარის გამომუშავებაა. როგორც დიმიტრი

უზნაძე გვასწავლის, მნიშვნელოვანია არა მხოლოდ კონკრეტული ცოდნის შეძენა, არამედ იმ უნარ-ჩვევების განვითარება, რაც მოსწავლეს მთელი ცხოვრება გამოადგება. მოსწავლეებს უნდა გავაცნოთ ტექსტის ვიზუალური მხარე, სტრუქტურა, სათაური. ტექსტის გააზრებამდე უნდა გავააქტიუროთ მოსწავლეთა წინარე ცოდნა, ის ცოდნა, რომელსაც ფლობს მოსწავლე ამ ტექსტთან დაკავშირებით. უნდა ვასწავლოთ მოსწავლეებს ერთმანეთისგან მთავარი და მეორეხარისხოვანი ინფორმაციის გარჩევა, კითხვის პროცესში მნიშვნელოვანი სამი ძირითადი ტიპის კავშირის დამყარება: 1. ტექსტის ერთი ნაწილის დაკავშირება ამავე ტექსტის სხვა ნაწილთან 2. ტექსტის დაკავშირება საკუთარ გამოცდილებასთან 3. ტექსტის დაკავშირება გარე სამყაროსთან.

მოსწავლეს უნდა გამოვუმუშაოთ წინასწარ განსაზღვროს ტექსტის კითხვის მიზანი: რა აინტერესებს, ტექსტის გლობალური, სელექციური თუ დეტალური გაგება, რისთვის კითხულობს?

ტექსტზე მუშაობა უნდა დავიწყოთ კითხვის სტრატეგიების გათვალისწინებით: კითხვამდე-კითხვის დროს-კითხვის შემდეგ.

გამოყენებული მეთოდის აღწერა

კვლევის მეთოდად ავირჩიე როგორც რაოდენობრივი, ისე თვისობრივი მეთოდი. კვლევის დასაწყისში გამოვიყენე აღწერითი და ჩართული დაკვირვება ჩვეულებრივ ბუნებრივ პირობებში, გაკვეთილზე. ეს მეთოდი დამეხმარა დაკვირვების ფოკუსის დადგენაში. საკვლევი საკითხის გამომწვევი მიზეზის სწორად გამოკვეთის მიზნით მონაცემთა შეგროვების მეთოდად გამოვიყენე ფოკუსჯგუფი, ინტერვიუ, კითხვარი. დაკვირვების ობიექტად ავირჩიე V კლასის მოსწავლეები. შევადგინე კითხვარი მოსწავლეებისთვის, რომ გამეგო მათი დამოკიდებულება კითხვისადმი (დანართი #2). აღწერითი დაკვირვების საშუალებით წუთში წაკითხული სიტყვების მიხედვით დავადგინე კითხვის ტექნიკა, როგორ კითხულობდნენ: კარგად, საშუალოდ, ცუდად (დანართი #3). შემდეგ დაკვირვება ვაწარმოე წაკითხულის გაგება-გააზრებაში (დანართი #4). აღწერით დაკვირვებას ვაწარმოებდი 2 კვირის განმავლობაში, ვიწერდი

შედეგებს. აღწერითი დაკვირვების საშუალებით გამოიკვეთნენ კონკრეტული მოსწავლეები, რომლებსაც უჭირდათ არა მარტო წაკითხულის გაგება-გააზრება, არამედ კითხვაც. ასეთ მოსწავლეებთან ჩავატარე ფოკუსირებული დაკვირვება. დაკვირვების მიზანი იყო, გამერკვია მოსწავლეთა კონკრეტული საჭიროებები. ფოკუსირებულმა დაკვირვებამ დამანახვა, რომ საჭირო იყო, როგორც საერთო, ისე დიფერენცირებული მუშაობა.

გადავწყვიტე, ზოგადად გამერკვია, მოსწავლეთა და მშობელთა დამოკიდებულება კითხვისადმი. კლასის ხელმძღვანელთან ერთად მოვიწვიე მშობლები, რომლებიც დაესწრნენ გაკვეთილს, ხოლო გაკვეთილის შემდეგ შეავსეს კითხვარი. (დანართი #5) ღიად ვისაუბრეთ კლასში არსებული პრობლემების შესახებ და ვთხოვე, უფრო მეტი ყურადღება მიქციათ შვილებისათვის ქართულ ენაში მეცადინეობისას. კვლევის სანდოობის გაზრდის მიზნით მონაცემთა შეგროვების მეთოდად გამოვიყენე ჩაღრმავებული ინტერვიუ. ვესაუბრე კლასის ყოფილ ქართული ენის მასწავლებელს, რომლისგანაც დამატებითი ინფორმაცია მივიღე თითოეული მოსწავლის შესახებ. ასევე ვესაუბრე ჩემს კოლეგებს კათედრაზე, მაინტერესებდა, მარტო ჩემს კლასში იყო ეს პრობლემა თუ მათთანაც. აღმოჩნდა, რომ კითხვის უნარ-ჩვევების პრობლემა ყველას აწუხებდა დაწყებით კლასებში და არა მარტო დაწყებით კლასებში (დანართი #6)

მონაცემთა ანალიზი:

კვლევის შედეგად აღწერითი დაკვირვებისას გამოიკვეთა, რომ ყველა მოსწავლეს უჭირდა არა მარტო წაკითხულის გაგება-გააზრება, არამედ გაწაფული კითხვაც და ჩამორჩებოდნენ ესგ-ით განსაზღვრულ სტანდარტებს. გამოიკვეთა შემდეგი პრობლემები:

- უჭირდათ ტექსტიდან სიტყვის ამოკითხვა
- სათანადო ინტონაციითა და სასვენი ნიშნების გამოყენებით კითხვა
- წაკითხულიდან აზრის გამოტანა
- საკუთარი დამოკიდებულების გამოხატვა წაკითხულის მიმართ

- ტექსტის მთლიანობაში აღქმა
- ტექსტის უწყურადღებოდ კითხვა
- ენის ბარიერის გამო მშობელი ვერ აკონტროლებს და ვერც ეხმარება შვილს. დაბალია ოჯახში კითხვისადმი ინტერესი, ცოტაა ოჯახებში როგორც ქართული, ისე სომხური ლიტერატურა.

კვლევის საფუძველზე გამოვიტანე დასკვნა, რომ V კლასში კითხვის უნარ-ჩვევების დაბალი დონის მიზეზი იყო ის, რომ წინა კლასებში მასწავლებელი არ იყენებდა ინტერაქტიურ მეთოდებს. მოსწავლეებს საერთოდ არ ჰქონდათ განვითარებული ფონოლოგიური უნარები. სახლში ცოტას ან საერთოდ არ კითხულობდნენ. მშობელები ვერ აკონტროლებდნენ და ვერც ეხმარებოდნენ შვილებს. მარტო გაკვეთილის პროცესი საკმარისი არ იყო.

ინტერვენციები:

მოსწავლეთა კითხვის უნარ-ჩვევების დიაგნოსტიკის შემდეგ დავგეგმე კონკრეტული ინტერვენციები შედეგების გასაუმჯობესებლად. ჩემი მიზანი იყო, მოსწავლეთა საჭიროებებზე მორგებული მიზანმიმართული და მრავალფეროვანი კითხვის ეფექტური მეთოდებისა და აქტივობების შერჩევა და დიფერენცირებული გამოყენება. ჩამოვაყალიბე ჩემი მიზნები: 1) პირველ რიგში ესწავლათ გაწაფული კითხვა-ტექსტი წაეკითხათ უშეცდომოდ, ყველა ასო ამოეკითხათ ზუსტად სასვენი ნიშნებისა და ინტონაციის დაცვით. 2) მხატვრული ტექსტის კითხვისას გამოეყენებინათ მხატვრულ-გრძნობითი მახვილები, 3) სამეცნიერო ტექსტის კითხვისას-ლოგიკურ-აზრობრივი მახვილი დაესვათ იმ სიტყვისთვის, რომელიც ყველაზე მნიშვნელოვანი იყო ლოგიკური შინაარსის თვალსაზრისით. ამის მაგალითს მე ვაძლევდი. პირველად ვავარჯიშე სიტყვების ამოკითხვაზე-სიტყვა დავშალევიანე მარცვლებად, განსაკუთრებით მრავალმარცვლოვანი სიტყვები. კითხვის გაკვეთილზე გამეორებით ვაკითხებდი ერთსა და იმავე ტექსტებს, განსაკუთრებით, სადაც ერთი და იგივე სიტყვები მეორდება: „თხა და ვენახი“, „რწყილი და ჭიანჭველა“, „ქოჩორა“, „ენის გასატეხებს“, გამოცანებს, ანდაზებს, პოსტერების ტექსტებს, რომლებსაც განსაკუთრებული ხალისით

კითხულობდნენ.ვიყენებდი კითხვის სხვადასხვა მეთოდებსა და სტრატეგიებს: ჩუმი კითხვა, მნიშვნელოვანი სიტყვის გამოყოფა, ინდივიდუალური და ჯგუფური კითხვა და სხვა.წიგნიერების ჩარჩოს მიხედვით გავითვალისწინე: ა)მთლიანი კლასის სწავლება ბ) დიფერენცირებული სწავლება გ) დამოუკიდებელი ვარჯიში.

მოსწავლეები უფრო ხალისით კითხულობდნენ თუ ტექსტი ილუსტრირებული იყო და მოკლე.სახელმძღვანელოში მოცემული ტექსტების გარდა შევარჩიე მათი ასაკისთვის შესაფერისი სხვადასხვა ტექსტები და კვირაში ერთი გაკვეთილი დავუთმეთ მხოლოდ კითხვას,რადგან ხანგრძლივი კითხვის პროცესი მოსწავლეებს კითხვის უნარს უვითარებს, მრავალფეროვნება კი სახალისოს ხდის კითხვას.კითხვის გაკვეთილისთვის რესურსად შევარჩიე,როგორც „დიდი წიგნები“, (რომელთა შექმნაშიც მოსწავლეები აქტიურად ჩაერთვნენ,რამაც საშუალება მისცა, ესწავლათ კეთებით.ამან კი ხელი შეუწყო მეტაკოგნიტური უნარების განვითარებას)ასევე შევარჩიე „პატარა წიგნები“ (გამომცემელი: „სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნებათაშორისი ურთიერთობების ცენტრი“).

„დიდი წიგნი“გავაკეთე ლიფჩარტის ფურცლებისაგან.ჯერ ერთი,უფრო დიდი ასოებით შეიძლება დაწერო ისე,რომ მოსწავლეთა ადგილების შეცვლა და წიგნთან ახლოს ჯდომა არ გახდეს საჭირო,როგორც ჩვეულებრივი „დიდი წიგნის“დროს,თანაც მისი მოთავსება ლიფჩარტის დაფაზე შეიძლება და უფრო მოსახერხებელია წასაკითხად.იგი შეიძლება, სხვადასხვა აქტივობისთვისაც გამოვიყენოთ.კარგია თოჯინებისა და მკითხველთა თეატრისათვის.(დანართი#

„დიდი წიგნის“კითხვისას მოსწავლე უფრო მობილიზებულია,უფრო ყურადღებით აკვირდება თითოეული ასოს მონახაზს,სასვენ ნიშნებს და უფრო ხალისით ასრულებს მიცემულ დავალებებს.ასეთი წიგნისთვის შევარჩიე ზღაპრები: „სამი გოჭი“, „ქათამი,ძაღლი,იხვი და თაგვი“, „ბრძენი ძაღლი“, ლექსები, „ენის გასატეხები“,ანდაზები, გამოცანები,რომელთა გამოყენება შეიძლება, როგორც გაწაფული კითხვისთვის, ისე ტექსტის გაგება-გააზრებისთვის.ვეცადე,შერჩეული ტექსტები მოსწავლეთა ინდივიდუალური

საჭიროებისთვის მომერგო. გავითვალისწინე ასაკი,გარემო, სოციალური სტატუსი,კულტურის თავისებურება, ბავშვის ფიზიკური და გონებრივი შესაძლებლობა.

ცოდნა მხოლოდ მაშინ არის ცოდნა,როცა ის საკუთარი გონების დაძაბვითაა მიღებული და არა მარტო დამახსოვრებით.მოსწავლემ რომ ისწავლოს დამოუკიდებელი კითხვით მიღებული სიამოვნება,წაკითხულის დამოუკიდებლად გაგება-გააზრება,წაკითხულის შესახებ ინფორმაციის გაცემა სხვისთვის,ამისთვის ვიყენებთ ე.წ.,„პატარა წიგნებს”,რომლებიც ენის ფლობის ევროპული ჩარჩოს დონეების მიხედვით არის შედგენილი. მოსწავლეს ვაძლევთ თითო წიგნს სახლში წასაკითხად კითხვის გაკვეთილისთვის სპეციალური რუბრიკით „წაკითხული წიგნის შესახებ”.(დანართი#8).კითხვის გაკვეთილზე მოსწავლე პასუხობს რუბრიკის კითხვებს,თუ შეუძლია, ყვება მოკლე შინაარსს.პასუხობს ამხანაგების შეკითხვებს. ამ აქტივობის დადებითი მხარე ის არის,რომ მოსწავლეები იუმჯობესებენ კითხვის ტექნიკას(თუ არ წაიკითხეს, კითხვებს ვერ უპასუხებენ),ეჩვევიან წაკითხულის გაგება-გააზრებას, უვითარდებათ დამოუკიდებელი კითხვის უნარ-ჩვევები. წაკითხული წიგნის გარშემო კითხვებს სვამენ მოსწავლეები,საჭირო შემთხვევაში ეხმარება მასწავლებელი.ტექსტის მთავარ სათქმელს აჯამებს მოსწავლე.

მოსწავლეებს დაევალიათ, „პატარა წიგნების” მსგავსად თავიანთი სურვილით შეედგინათ პატარა წიგნები სახელმძღვანელოში მოცემული მოკლე ტექსტების მიხედვით. მოსწავლეებმა ხალისით შეასრულეს ეს დავალება: წაიკითხეს, დახატეს, გადაწერეს და შეკრეს წიგნი.ამ აქტივობამაც ხელი შეუწყო კითხვის უნარის განვითარებას-წაიკითხა,დახატა,გადაწერა.(დანართი#9)

კითხვის დაწყებამდე ვარკვევდით,რისთვის ვკითხულობდით ტექსტს, რა გვინტერესებდა: ტექსტის გლობალური,სელექციური,თუ დეტალური გაგება.

ტექსტზე მუშაობას ვიწყებდით კითხვის სტრატეგიების გათვალისწინებით: კითხვამდე-კითხვის დროს-კითხვის შემდეგ.მიზნის მისაღწევად ვიყენებდით ტექსტზე მუშაობის სხვადასხვა მეთოდს და სტრატეგიას,აზროვნება-

შემეცნების სამფაზიან მოდელს „გამოწვევა-წვდომა-რეფლექსია“, რაც გაკვეთილს ხდის აქტიურსა და საინტერესოს.

კითხვამდე გამოწვევის ფაზა:

ვსვამდით კითხვებს: * რა არის ტექსტის სათაური?რაზე იქნება ტექსტი?-ვარაუდების გამოთქმა * რატომ ფიქრობ ასე? იცი თუ არა რამე ამის შესახებ?-საბაზო ცოდნის შემოწმება.*გაგიჩნდა თუ არა სურვილი,რომ ეს ტექსტი წაიკითხო? რატომ? ამ დროს ბავშვები აქტიურები არიან, ეს კი ხელს უწყობს განწყობის შექმნას, ინფორმაციის გახსენებას,ცოდნის აღდგენას.დ.უზნაძის აზრით, კი განწყობის შექმნა ერთ-ერთი უმთავრესია.

კითხვა-წვდომის ფაზა :

ვითვალისწინებდით რა, იმას,რომ სწავლა დამყარებულია კარგ კითხვაზე,ყურადღებას ვამახვილებდით ზუსტად და მკაფიოდ წარმოთქვამთ ყველა ასო სასვენი ნიშნებისა და ინტონაციის დაცვით.ვაკითხებდი ყველა მოსწავლეს.ხდებოდა უცხო სიტყვების ახსნა,აბზაცების გამოყოფა,პერსონაჟებზე დაკვირვება.

კითხვის შემდეგ-რეფლექსია:

*შინაარსის შეჯამება (კითხვებს ვსვამდით მასწავლებელი და მოსწავლეები)

*ძირითადი თემის გამოყოფა,გამართლდა თუ არა ვარაუდი.

*პერსონაჟების ხასიათის გამოკვეთა.

*განწყობა

*შემოქმედებითი და კრიტიკული დამოკიდებულება ტექსტთან.

(ვითვალისწინებდი ასაკს)

ყოველთვის ვიცავდი პრინციპებს,რომლებსაც მეორე ენის სწავლებაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება: *განმეორებადობის პრინციპი, *მისაწვდომობის პრინციპი (არც რთული, არც მარტივი), *აქტიურობის პრინციპი(როგორ გამეაქტიურებინა მოსწავლე), *თვალსაჩინოების პრინციპი (მასალის აღქმასა და გააზრებას აადვილებდა)

ინტერვეციების შედეგების შეფასება:

კვლევის შედეგად გამოკვეთილი პრობლემების გადასაჭრელად გამოყენებულმა ინტერვენციებმა დადებითი შედეგი გამოიღო. ინტერვენციების დროს გამოიკვეთა, რომ სწავლა-სწავლების პროცესი პროგრესულად მიმდინარეობდა კითხვის უნარ-ჩვევების განვითარების კუთხით. ვახორციელებდი მონიტორინგს-ერთდროულად ვმუშაობდი, როგორც მოსწავლეთა კითხვის უნარ-ჩვევების განვითარებაზე, ისე მიღებული შედეგების შეფასებაზე. შედეგიანი აღმოჩნდა ჩემ მიერ შერჩეული მოსწავლეთა საჭიროებებზე მორგებული მიზანმიმართული და მრავალფეროვანი კითხვის ეფექტური მეთოდებისა და აქტივობების შერჩევა. კვლევამ კარგი შედეგი გამოიღო (დანართი #11) მოსწავლეთა კითხვის უნარ-ჩვევები ამაღლდა.

მიგნებები, დასკვნები, განზოგადებები

ჩემი პრაქტიკის კვლევის საფუძველზე შეიძლება დავასკვნა, რომ მოსწავლეთა კითხვის უნარ-ჩვევების განვითარებისთვის საჭიროა სისტემატიური და თანამიმდევრული აქტივობები მოსწავლეთა საჭიროებებისა და ინტერესების გათვალისწინებით, რესურსების მრავალფეროვნება, ასაკისა და ცოდნის შესაფერისი დამატებითი ილუსტრირებული ტექსტების მოძიება და სხვა ფორმატით წარდგენა (მაგ, „დიდი“ და „პატარა“ წიგნები). კვირაში ერთი გაკვეთილის დათმობა კითხვისთვის-გაწაფულ, გამომეტყველებით კითხვაში დაუფლება. კითხვასთან დაკავშირებული კლასგარეშე აქტივობები, თანამშრომლობა მშობლებთან და კოლეგებთან.

რეკომენდაციები:

კვლევის შედეგებმა გვიჩვენა, რომ კითხვის უნარ-ჩვევების გასავითარებლად აუცილებელია:

- დაწყებითი კლასიდანვე განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს გაწაფულ კითხვასა და კითხვის უნარ-ჩვევების განვითარებას.

- ტექსტის კითხვა საინტერესო საგაკვეთილო პროცესად იქცეს
- მოსწავლეთა სისტემატური კონტროლი და შეფასება
- მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებზე მორგებული სწავლება
- განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს საშინაო კითხვას, დავალებების სწორად შერჩევას, კითხვების სწორად ფორმულირებას
- მშობლებთან თანამშრომლობა
- კითხვასთან დაკავშირებული კლასგარეშე აქტივობების მოწყობა
- მასწავლებელთა ურთიერთთანამშრომლობა
- რესურსებისა და აქტივობების მრავალფეროვნება
- კოლეგებთან თანამშრომლობა

კვლევის შედეგების გაზიარება, რეფლექსია

კვლევის შედეგები, შემუშავებული ინტერვეციები და რეკომენდაციები გავაცანი ჩემს კოლეგებს კათედრის სხდომაზე. კვლევის შედეგების გაზიარების ინიციატივა წამოვიდა ჩემგან. როგორც კვლევის დაწყებამდე გაირკვა, მათაც იგივე პრობლემები ჰქონდათ კითხვასთან დაკავშირებით, რაც მე. გაზიარება მოხდა კვლევის დამთავრების შემდეგ, რადგან ჩავთვალე, რომ ასე (მთლიანობაში) უფრო შედეგიანი იქნებოდა. პრეზენტაცია ლექციური სახით დავიწყე, თუმცა, სიტუაციებიდან გამომდინარე ინტერაქტიური ხასიათი მიიღო. აუდიტორიისაგან უკუკავშირი აქტიური იყო და შინაარსობრივ მხარეს ეხებოდა, რადგან მათაც იგივე პრობლემები ჰქონდათ და ეხებოდა პარალელის გავლებას საკუთარ მოსწავლეებთან. განსაკუთრებით მაინტერესებდა კოლეგების აზრი „პატარა წიგნის“ შექმნის შესახებ, რაზეც დადებითი შეფასება მივიღე. განსაკუთრებით მოეწონათ „რუბრიკა სახლში წაკითხული წიგნის შესახებ“, კვირაში ერთი გაკვეთილის დათმობა ხმამაღალი კითხვისთვის. სურვილი გამოთქვეს, რომ გამოიყენებენ მუშაობაში. ეჭვიც გამოთქვეს იმის შესახებ, რომ შეიძლება, ერთი გაკვეთილი მხოლოდ კითხვისთვის მოსაწყენი გახდეს ბავშვებისთვის. არგუმენტირებულად დავუსაბუთე, როგორ შეიძლება, საინტერესო და სახალისო გავხადოთ კითხვა მოსწავლეებისთვის.

უკუკავშირის ანალიზის დროს მივხვდით, რომ უკეთესი იქნებოდა, ინტერვენციები ერთდროულად ჩამეტარებინა სხვა კლასებშიც კოლეგების დახმარებით. ვფიქრობ, ეს უფრო კარგ შედეგს გამოიღებდა. ახალი კვლევის დაგეგმვისას ამას აუცილებლად გავითვალისწინებ. ასევე სამიზნე ჯგუფში გავითვალისწინებ სხვა ენის მასწავლებლებსაც.

კვლევის შედეგები ასევე გავაცანი მშობლებს. ისინი დაესწრნენ გაკვეთილს და დაინახეს თავიანთი შვილების პროგრესი ქართულ ენაში, კითხვის უნარ-ჩვევების ამაღლებამ მოსწავლეთა მეტყველების უნარ-ჩვევებზე აამაღლა. მშობელთა უკუკავშირი დადებითი იყო.

კვლევას დადებითი შედეგი მოჰყვა, იგი სასარგებლო გამოდგა არა მარტო მოსწავლეებისთვის, ჩემი პროფესიული განვითარებისა და ზრდისთვის, არამედ ჩემი კოლეგებისა და საერთოდ სკოლისთვის, მისი პრიორიტეტისათვის სახელმწიფო ენის უკეთ დასაუფლებლად და თანაც, კითხვის უნარ-ჩვევების განვითარებაზე ზრუნვა ერთნაირად საჭირო და აუცილებელია ყველა საგნის მასწავლებლისთვის. კვლევა გამოვაქვეყნე ჩემს ფეისბუქ-გვერდზე <https://www.facebook.com/groups/1583598791879083/>

ბიბლიოგრაფია:

1. გამოცდების ეროვნული ცენტრის კვლევის ანგარიში. www.naes.ge
2. ეროვნული სასწავლო გეგმა (2011-2016), მოქმედი რედაქცია.
3. ვახანია ზ. (2005) ქართული ენის შემოქმედებითი სწავლება, თბილისი
4. კუტალაძე ი. (2012) საერთაშორისო საგანმანათლებლო კვლევები საქართველოში.
5. კილურიძე თ. ქუთათელაძე ე. (2014), „თანამედროვე მიდგომები ენის სწავლებაში“, თბილისი, 0162, საქართველო.
6. LobjaniZe sofiko, t.pdc.ge

- 7.მასწავლებელთა პროფესიული სტანდარტის გზამკვლევი(2014),
„მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი“.
- 8.ნაცვლიშვილი ნ. ქიტიაშვილი ზ.(2013) „კითხვის ეფექტური მეთოდები
(ფილმით),თბილისი, „მასწავლებელთა პროფესიული განვითარების
ეროვნული ცენტრი“.
9. ნოზაძე გ.რეკომენდაციები პედაგოგიური პრაქტიკის კვლევის დაგეგმვისა
და წარმატებისთვის,ჟურნალი „მასწავლებელი“, 2018 წ, #4
- 10.რობერტ ჯ.მარზანო,დებრა ჯ.ფიქერინგი,ჯინი.ფლოქი(2009წ) „ეფექტური
სწავლება სკოლაში“-კვლევებზე დაყრდნობით შემუშავებული
მეთოდები,რომლებიც აუმჯობესებენ მოსწავლეთა აკადემიურ
მოსწრებას,თბილისი, „მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი“.
- 11.უზნაძე დ.(2013) დიმიტრი უზნაზის პედაგოგიური კონცეფცია,თბილისი,
„მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი“.
- 12.ქართულის,როგორც მეორე ენის,სასწავლო გეგმა(2011-2016).
- 13.<http://kargiskola.ge/teacherintro/teacher-metoduri-videoebi.php>
- 14.http://kargiskola.ge/tech_videos.php?videoid=tlc2
- 15.<https://www.youtube.com/watch?v=LOY8gu2XQk>
- 16.YouTube-[youtube.com/watch?v=fwikWqikkuE](https://www.youtube.com/watch?v=fwikWqikkuE)
- 17.<http://izainteli.blogspot.com/2018/05>

დანართები:

#1- კვლევის სამუშაო გეგმა:

№	შესასრულებელი საკითხები	X	XI	XII	I	II	II I	IV-V
1	კვლევის სავარაუდო გეგმის შედგენა	1-5						
2	აღწერითი დაკვირვება	8-31						
3	ფოკუსირებული დაკვირვება		1-30					
4	კითხვარის შედგენა			3-5				
	მოსწავლეებისთვის							
5	კითხვარის შედგენა მშობლებისთვის			6				
	ინტერვიუ მშობლებთან,							
6	კითხვარის შევსება			7				
7	მონაცემების შეგროვება, კვლევის ანალიზი			10-14				
8	ინტერვეციის განხორციელება				+	+	+	+
9	ინტერვეციის შედეგების ანალიზის პრეზენტაცია კათედრაზე							4V

#2- კითხვარი მოსწავლეებისთვის.:

1.სახელი გვარი.....

2.რამდენ დროს ანდომებ ქართულში საშინაო დავალების შესრულებას?.....

3.სახლში რამდენჯერ კითხულობ ქართულში?.....

4.დამოუკიდებლად კითხულობ თუ ვინმე გეხმარება?.....

5.დამოუკიდებლად იგებ წაკითხულის შინაარსს?(შემოხაზე)- **კი არა**


6.ვინმე გეხმარება?ვინ?(შემოხაზე)- **კი არა**

7.რომელი უფრო გიყვარს?(ხაზი გაუსვი):


ზღაპრები, ლექსები, მოთხრობები, საინტერესო ამბები.

8.სურათებიანი წიგნი გიყვარს თუ უსურათო?(გაუსვი ხაზი)

#3 კითხულობს:



#4 კითხულობს გააზრებით:



5 - კითხვარი მშობლებისთვის:

1.იცი ქართული ენა?(შემოხაზე) კი არა

2.იცი ქართულად კითხვა?(შემოხაზე) კი არა

3.კითხულობ წიგნებს?(შემოხაზე) კი არა

4.წიგნები გაქვს სახლში?რამდენი?(ხაზი გაუსვი) - ბევრი ცოტა არა მაქვს

5. შენი შვილი სახლში რამდენჯერ კითხულობს ქართულში?

6.რა არის მიზეზი თქვენი შვილის ქართულ ენაში კითხვის დაბალი დონის?






7.როგორ ფიქრობთ,რა არის საჭირო იმისთვის,რომ თქვენმა შვილმა კარგად ისწავლოს ქართული კითხვა?

პ.ს.კითხვები იყო სომხური თარგმანით,რადგან მშობლებმა არ იციან ქართული.

6 . გამოკითხვისა და მცირე დაკვირვების შედეგები კლასების მიხედვით:

კლასი	მოსწავლეთა რაოდენობა	გარკვევით კითხულობს	იცავს ინტონაციასა და სასვენ ნიშნებს	უჭირს გამართული კითხვა,ვერ კითხულობს	წაკითხულის გაგება-გააზრება უჭირს
I	11	8	4	3	7
II	14	7	4	7	6
III	17	9	7	8	5
IV	9	3	2	6	8
V	10	3	1	7	9
VI	23	7	5	15	15

№7 დიდი წიგნი



№10 მონაცემები კვლევის დაწყებამდე და კვლევის დასრულების შემდეგ:

